პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

შაბათი, 7 ივნისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 518 ქ. მ. დ. პოლიტ-ბან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 85.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## სამხედროების საყურადღებოდ

კვირას, 8 ივნისს, დილის 10 საათზე გაზ. „წითელ-არმიელის" რედაქციის შენობაში (ჯორჯიაშვილის ქუჩა, ყოფ. ბარიატინსკის № 8) **ხელმეორედ** დანიშნულია ქართულ მსროლელ დივიზიის თბილისის გარნიზონში მყოფ ნაწილების

### სამხედროების კრება.

საკითხების დიდი მნიშვნელობის გამო დასწრება ყველა სამხედროის და პარტკორის აუცილებელია.

გაზ „წითელ-არმიელი"-ს რედაქცია.

---

## გამცემლებთა კონგრესი.

ვენაში ამ ჟამად მიდის ყვითელ პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალის მორიგი კონგრესი. ხსენებული საერთაშორისო გაერთიანება პროფკავშირებისა, ეკუთვნის მეორე ინტერნაციონალს და ატარებს მის გამყიდველ პოლიტიკას მსოფლიო მუშათა მოძრაობაში.

ამსტერდამის ინტერნაციონალი შეიკრიბა, რათა ჯამი გაუკეთოს თავისი წლიურ გამცემლურ მუშაობას და ახალი გზები გამონახოს მომავალი მუშაობისა, რათა უკეთესად შეუბოჭოს ხელები პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობას და მით ერთგული სამსახური გაუწიოს მსოფლიო ბურჟუაზიას.

გასული წელი მეტად მდიდარია ამსტერდამის შემთანხმებლებთა „მოღვაწეობის" ნაყოფიერობით. მათ თამამად შეუძლიათ დაიკვეხონ თავის ერთგული სამსახურით ბურჟუაზიისადმი, რომელთა სასარგებლოთ მათ ბევრი საზიზღარი საქმე გააკეთეს.

ამსტერდამის ყვითელი ბელადების წყალობით ევროპის მუშებმა დაჰკარგეს რვა საათის სამუშაო დღე; მათი კურთხევით მუსოლინმა გაანადგურა მუშათა პროფორგანიზაციები იტალიაში; მათი ბრალია საერთაშორისო მთლიანი მუშათა ფრონტის დარღვევა, რადგან არ ინებეს პროფინტერნთან მოლაპარაკება. ამსტერდამის ყვითელმა ინტერნაციონალმა სასტიკი იერიში მიიტანა არა ბურჟუაზიაზე, არამედ პროლეტარიატზე, მის ინტერესების გამომხატველ კომინტერნზე და წითელ პროფკავშირთა ინტერნაციონალზე.

ამსტერდამის ინტერნაციონალი ყოველ გზა-ჯვარედინზე, ყოველ ნაბიჯზე სცემს მუშათა კლასის ინტერესებს და მუხანათურად ღალატობს მას.

მაგრამ არც პროლეტარიატი რჩება გულ-გრილი შემთანხმებელ ბელადების საქმიანობისადმი. დღითიდღე ის რწმუნდება ამსტერდამის ინტერნაციონალის გამცემლობაში,— სწყვეტს მასთან კავშირს და გადადის პროფინტერნის რიგებში. ეს გარემოება დაადასტურა თვით ამ კონგრესმა მომხსენებელ ზასოლბას სიტყვით, რომელმაც თავის მოხსენებაში აღნიშნა საწევრო გადასახადების რაოდენობის შემცირება, რაც გამოწვეულია წევრთა რიცხვის შემცირებით.

ამასთანავე ერთად, აღსანიშნავია, რომ ხსენებული კონგრესი ყვითლებისა, გაცხარებულ კამათისა, ჯგუფური ბრძოლის და დაშლის ქვეშ მიმდინარეობს.

ზოგიერთი დელეგაციები, როგორც ინგლისისა, კატეგორიულად მოითხოვენ პროფინტერნთან თანამშრომლობას.

ტრანსპორტზე მომუშავეთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების მდივანი ფიმენი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მუშათა კლასის ძალების დაქსაქსვა გრძელდება; მუშათა კლასი დასუსტდა; რეაქცია გაძლიერდა და ამავე დროს ამსტერდამის ინტერნაციონალი არაფერს აკეთებსო.

ამსტერდამის ინტერნაციონალი იხრწნება, მასში იჩინა თავი ეგრედწოდებულმა მემარცხენე მიმდინარეობამ, რომელიც მიისწრაფვის პროფინტერნთან თანამშრომლობისაკენ.

მაგრამ ყვითელი ბელადები, როგორც ჟუო გომპერსი და სხვებია, შეეცდებიან ყოველივე ისეთი რეზოლიუცია, რომელსაც მემარცხენეობის სუნი უდის, ჩაიფუჩეჩონ და არ გაატარონ.

ყვითლების ეს კონგრესი მეტად ღირსშესანიშნავია. ის ნათლად გვეუბნება ჩვენ, რომ ყვითელი ამსტერდამის ინტერნაციონალის დღეები დათვლილია; რომ თანდათანობით მუშათა მასსები შორდებიან მის რიგებს და სდგებიან პროფინტერნის ბრძოლის წითელი დროშის ქვეშ, რომ შიგნით მასში თავი იჩინა განხეთქილებამ, რაც ნიშანია გახრწნისა და მისი განადგურების.

## ინგლის საბჭოთა კონფერენცია.

### ისევ „პროპაგანდა"

თემთა პალატაში, მაკდონალდმა შეკითხვაზე უპასუხა, რომ ლონდონში მყოფ საბჭოთა დელეგატებს იგან არ იყო აუცილებელი საჭირო განსაკუთრებულ გარანტიების მოთხოვნა პროპაგანდისაგან თავის შეკავების შესახებ, მაგრამ დელეგაციამ უნდა შეასრულოს ის დავალება, რომელიც იკისრა საბჭოთა მთავრობამ.

---

## საბჭოთა კავშირის და ჩინეთის შეთანხმების გარშემო.

### იაპონია ნერვიულობს.

იაპონიის პრესა დიდის ინტერესით არჩევს კითხვას თუ რა პოზიციაზე დადგებიან იაპონია, საფრანგეთი და ამერიკა აღმოსავლეთ-ჩინეთის გზის შესახებ ს.ს.რ.კ. და ჩინეთს შორის მომხდარ შეთანხმების გამო.

**გაზეთების აზრი.**

კონსტიტუციონალ — მონარქისტების გაზეთი „ნიცი-ნიცი" სწერს, რომ ს.ს.რ.კ. და იაპონიას შორის მომხდარ მოლაპარაკებაში, იაპონიამ ენერგიულად უნდა დაიცვას თავისი თვალსაზრისი.

**შოვინისტები მოითხოვენ.**

შოვინისტური გაზეთი „კოკუმინი" სწერს, რომ იაპონიას ჯერ უნდა ეცნო ს.ს.რ.კ. და მერე დაეწყო მასთან მოლაპარაკება თავის პრეტენზიების შესახებ.

---

## საფრანგეთში ახალ მთავრობის შედგენის წინ

### გაიძვერული სიტყვა.

დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეთ არჩეულმა პენლევემ, თავის სიტყვაში სთქვა: მაისის არჩევნებმა განამტკიცეს რწმენა დემოკრატიის მომავლისადმი, მაგრამ არ შეიძლება სამართლიანობა იქნეს იქ, სადაც უსამართლოთ დაზარალეს მეორე მხარე. ევროპის მშვიდობიანობას ემუქრება გერმანიის მისწრაფება რევანშისაკენ. საწუხარო შეცდომა იქნებოდა, რომ ჩვენი საზღვრების გადმა იმპერიალისტებს, ჩვენი ჰუმანიზმი გაეგოთ, ისე როგორც მათი მუქარის შედეგი. ისინი გახდებოდნენ ასეთი შეცდომის პირველი მსხვერპლნი."

პენლევემ დაასრულა თავისი სიტყვა მოწოდებით, რომ დეპუტატთა პალატას დაეწყო თავისი საქმიანობა ამნისტიით.

**მილიერანი კიდევ თავისას გაიძახის**

კომერციულ გუნების წარმომადგენელთა ყრილობაზე მილიერანმა განაცხადა, რომ საფრანგეთის ხალხი მთლიანათ უჭერს მხარს მთავრობის საგარეო პოლიტიკას, რომელიც იქეთკენაა მიმართული, რომ გერმანიას აანაზღაურებიოს მთელი ვალდებულებანი. ამის გამო მოხდა გამარჯვება ვალიუტის მერყეობაზე და ესაა მიზეზი, რის გამოც ჩვენ გულადათ და დამშვიდებით უცქერთ მომავალს.

**მთავრობის შედგენა.**

დღეს დაიწყება თათბირი მთავრობის ახალი კაბინეტის შესადგენათ.

**მილიერანი დარჩება.**

გაზეთ „ეუვრნალ"-ის ცნობით მილიერანს მხარს დაუჭერს სენატის უმრავლესობა.

---

## პოლონეთში.

**პარტიზანი — ყაჩაღები.**

დანილოვის მაზრაში პარტიზანებმა გაძარცვეს ძეშინის მამული, სტოლკოძეცკის მაზრაში აღრიცხულია რამოდენიმე შემთხვევა თავდასხმისა. ბირსეშოკის მაზრაში პარტიზანებმა დახვრიტეს ერთი პოლიციელი.

**უკრაინის სოც.-დემოკრატების დევნა.**

უკრაინის სოც.-დემოკრატების დეპუტატებს განუცხადა შინ. საქმეთა მინისტრის ამხანაგმა, რომ სოც.-დემოკრატიული პარტიის ლეგალიზაციის გამოცხადება შესაძლებელი იქნება, თუ აღნიშნული პარტია გამოსცვლის თავისი პროგრამის ზოგიერთ—მუხლებს.

დეპუტატებმა უარი განაცხადეს პროგრამის შეცვლაზე და სთქვეს, რომ პარტია განაგრძობს არალეგალურ არსებობასო.

**სროლა გრძელდება.**

პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე გრძელდება სროლა პოლონეთის და ლიტვის მოსაზღვრე ნაწილებს შორის.

**სარწმუნოების „თავისუფლება".**

უკრაინელმა დეპუტატმა კრუცკიმ შეიტანა შეკითხვა სეიმში პოლონეთის ოთხ ქალაქში მართლმორწმუნეთა დახურული ეკლესიების კათოლიკეთათვის გადაცემის გამო.

---

## კომინტერნის პლენუმი.

კომინტერნის აღმასკომმა დაადგინა მოიწვიოს კომინტერნის გაფართოებული პლენუმი 10 ივნისისათვის.

---

## იაპონია.

**მთავრობა გადადგომას აპირებს**

გაზეთების ცნობით პრემიერი აპირებს წარუდგეს პრინც-რეგენტს გადადგომის ქაღალდით.

---

## საბჭოთა ფედერაციაში.

### მოსავლის მოლოდინი.

უკრაინიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოსული ცნობებით მოვიდა დიდი წვიმა, რის გამოც შეიძლება იმედი ვიქონიოთ მოსავლის გამობრუნებაზე.

**„გუთნის ქორწილი"**

ბაშკირეთის რესპუბლიკის შრომის კომისარიატმა დაადგინა დიდი და პატარა ბაირამობის მაგიერ იდღესასწაულოს სახალხო უქმე „გუთნის ქორწილი".

**სეტყვა პსკოვის მაზრაში.**

პსკოვის მაზრაში მოვიდა დიდი სეტყვა, რამაც დიდათ დააზარალა ნათესები.

# აჯანყება ალბანეთში.

## აჯანყება ძლიერდება.

აჯანყებულები წარმატებით მოქმედებენ. ბელგრადში თათბირი ჰქონდათ ნიჩიჩს და იტალიელ ელჩს.

### დროებითი მთავრობის შედგენა.

პარიზიდან იტყობინებიან: ალბანეთში შეტაკებები გრძელდება. მეამბოხეებმა დაიკავეს ქალაქ სკუტარის პრეფექტურა. გამოცხადდა დროებითი მთავრობა. დურაცცოში ჩამოვიდა იტალიის ნაღმოსანი.

### გავლენათა სფეროების დაყოფა.

სამხრეთ სლავიის პრესა შიშს გამოსთქვამ, რომ იტალიის აშკარა ჩარევა ალბანეთის საქმეებში სამხრეთ-სლავიას იძულებულს ყოფს დაიკავოს სკუტარი. თუმცა შეიძლება, რომ იტალია და სამხრეთ-სლავია შეთანხმებით მოქმედობდნენ ალბანეთში.

### შეთანხმდნენ.

გავრცელდა ხმები, რომ იტალია-სამხრეთ-სლავიას შორის დაიდო ხელშეკრულება ალბანეთში გავლენის სფეროების დაყოფის შესახებ.

---

# გერმანიის კომუნისტების პროტესტი.

რეიხსტაგში განახლებულ დებატებზე კომუნისტმა დეპუტატმა რემელემ პროტესტი განაცხადა მისი გაძევების გამო სხდომის დარბაზიდან. რემელის განცხადებას ხმას აძლევენ მხოლოთ კომუნისტი დეპუტატები.

შემდეგ გამოდიან მთელი რიგი კომუნისტ დეპუტატებისა, რომელნიც ფარდას ხდიან მთავრობის შავ საქმიანობას კომუნისტების მიმართ.

### დაპატიმრებულთა განთავისუფლებას მოითხოვენ.

კომუნისტ დეპუტატებმა მოითხოვეს დაპატიმრებულ კომუნისტ დეპუტატების განთავისუფლება. რეზოლიუციას მხარი დაუჭირეს მხოლოთ კომუნისტებმა და სოც-დემოკრატებმა.

### მთავრობის დეკლარაცია.

მთავრობის დეკლარაციაში, რომელიც მარქსმა წაიკითხა, ნათქვამია რომ გერმანიის მეურნეობა იმყოფება დაღუპვის პირათ და თუ გამონახულ არ იქნება კრედიტი, კატასტროფა აუცილებელია. შემდეგ მარქსი ბევრს შეჩერდა სარეპარაციო საკითხზე და აღნიშნა, რომ საგარეო პოლიტიკიდანაა დამოკიდებული შინაური პოლიტიკის საკითხებიო.

### როგორ შეხვდნენ მარქსის სიტყვას.

მარქსის სიტყვას ცივათ შეხვდნენ მემარჯვენეები. მოიწონეს ცენტრის ნაწილმა, ხოლო კომუნისტები ხშიპარტიებმა და სოც-დემოკრატების რათ აწყვეტინებდენ მას სიტყვას, ამნისტიის მოთხოვნით.

### პრესა მთავრობის დეკლარაციის შესახებ.

ბერლინის სოციალისტური და მთავრობის გაზეთები მთლიანათ იწონებენ მთავრობის დეკლარაციას.

მემარჯვენე გაზეთები კი დეკლარაციას უარყოფენ და სწერენ, რომ აღნიშნული დეკლარაცია გაცილებით გააუარესებს გერმანიის მდგომარეობას მომავალშიო.

### კომუნისტური გაზეთების დახურვა საქსონიაში.

ბერლინიდან მოსული ცნობებით საქსონიაში დაკეტეს ყველა კომუნისტური გამოცემები.

---

# რადიო ყოველ მხრიდან

## პორტუგალია.

### ავიატორების აჯანყება.

ლისაბონიდან მოსული ცნობებით პორტუგალიის საჰაერო ფლოტის ოფიცრებმა უარი განაცხადეს ახლათ დანიშნული უფროსის დამორჩილებაზე და მოაწყვეს ბარრიკადები. საავიაციო ჯარების სიმპატია აჯანყებულთა მხარეზეა.

## ავსტრია.

### სასოწარკვეთილების გამო.

კანცლერ ზეიპელზე თავდასხმა ახასიათებს ავსტრიელ მუშების სასოწარკვეთილებას, რაც გამოწვეულია მუშათა კლასის საზღაპრო გაღატაკებით და აუტანელი ეკონომიური გაჭირვებით. ამ ნიადაგზე მაისის განმავლობაში აღრიცხულია 300 თვითმკვლელობის შემთხვევა. ზეიპელზე თავდამსხმელი მუშა ფიქრობდა თავის მოკვლას, მაგრამ გადასწყვიტა უმალ მოეკლა მუშათა კლასის ასეთი მდგომარეობის მიზეზი ზეიპელი.

### ლოცვა პრეზიდენტის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის.

კანცლერ ვეიპელის ჯანმრთელობა უმჯობესდება. ვენის ყველა ეკლესიებში ილოცეს კანცლერისათვის ჯანმრთელობის დასაბრუნებლად.

## რუმინეთი.

### ბუქარესტში მომხდარი აფეთქების მსხვერპლნი.

პარიზიდან იტყობინებიან, რომ ბუქარესტში მომხდარ იარაღის საწყობის აფეთქების მსხვერპლი [გახდა 97 კაცი. აქედან 70 ჯარის-კაცი, 7 ოფიცერი და 20 მოქალაქე.

## ფინეთი

### ფინეთის მთავრობა.

ჰელსინგფორსიდან იტყობინებიან, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტმა მთავრობის ახალი კაბინეტის შედგენა მიანდო სეიმის დეპუტატს, კონსერვატორი პროფ. ინგმანს.

## ბულგარეთი.

### არჩევნების შედეგი.

სათემო არჩევნების შედეგი გამოირკვა: მთავრობამ მიიღო 60.000 ამა, კომუნისტების და გლეხთა პარტიის ბლოკმა 22 ათასი და სოც. დემოკრატებმა 14.000.

### მცირე ანტანტის კონფერენცია.

ბელგრადის დიპლომატიურ წრეებში ამბობენ, რომ 10 ივნისისათვის დანიშნული მცირე ანტანტის კონფერენცია პრაგის მაგიერ შესდგება ჟენევაშიო.

## ინგლისი

### ინგლისის ფლოტის ალლუმი.

ლონდონიდან მოსული ცნობებით ივლისში დაიწყება ინგლისის ფლოტის ალლუმი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ 200 საზღვაო ერთეული და საჰაერო ფლოტი.

## ესტონეთი.

### მატარაბლების დამსხვრევა ესტონეთში.

ოთხშაბათს, რეველ-ვალკის რკ. გზის ხაზზე ლიანდაგიდან გადავარდა სამგზავრო მატარებელი. მოკლულია 12 კაცი და დაჭრილია 38 კაცი.

---

# სხვა და სხვა

### ბერლინი ულუდოთ.

ლუდის სახდელი ქარხნების მუშათა გაფიცვის გამო ბერლინში ლუდი თითქმის აღარ იშოვება.

### საერთაშორისო ფრენა.

ფრანგი მფრენავი დ'უაზი გუშინ მიფრინდა კორეაში. ამერიკელი მფრენავები კი შანხაიში.

### კოკაინის გატანა კუბოებით.

ლიუკსემბურგის და გერმანიის საზღვრებზე მატარებლით მოვიდა ორი კუბო. მთლათ ყვავილებში ჩაფლულნი. საბაჟოს აგენტებმა კუბოებში მიცვალებულთა მაგიერ აღმოაჩინეს კოკაინი.

---

# ამხ. ტროცკის „უბის წითელი წიგნის“ შესახებ.

(დასასრული)

„უბის წიგნი“ არ საჭიროებს კომენტარიებს (განმარტებას); ის ყველასთვის გასაგებია. ჩვენ აქ საჭიროდ მიგვაჩნია ერთის მხრივ ხაზი გაუსვათ ამ წიგნის ძირითად აზრებს და ამაზე მივაქციოთ უფროსების და პოლიტ მომუშავეების ყურადღება, რომელნიც პასუხის მგებელნი არიან აღზრდის და სწავლების საქმეში, მეორეს მხრივ კი შევაჩეროდ მათი ყურადღება დანაწილების საკითხში რომ კარგათ ჩაუფიქრდენ და არსებითად შეუფარდონ თავიანთი შრომა ჩვენი ჯარის მუშაობის პირობებს.

1. სამხედრო საქმისათვის ტეხნიკის განვითარების მნიშვნელობის ახსნის დროს, საჭიროა ამასთან ერთად წითელ არმიელს ჩაუნერგოთ რწმენა თავის იარაღის სიძლიერის შესახებ, რაც ომის დროს მოიტანს სარგებლობას, თუ ის ყურადღებით და მუყაითად მოეპყრობა მას.

2. უკუნასკნელი გამოწვევის გამო სამხედრო საქმის სწავლება მთელი ჩვენი მუშაობის დედა ბოძათ უნდა გახდეს.

3. ზოგიერთ ნაწილებში შემჩნეულია უფროსების და კომისრების მუშაობის დანაწილება; ერთი ასწავლის, მეორე ზრდის, ყოველი მათგანი კი ცალ-ცალკე მუშაობს. ამ რიგათ გამოდის, რომ სწავლების და აღზრდის საქმე თითქო ერთმანეთს დაშორებულია. ეს არ ვარგა. უფროსი და კომისარი უნდა შეადგენდენ განუყოფელ ერთეულს, ორივე ერთად უნდა ღებულობდენ მონაწილეობას სწავლების და აღზრდის მუშაობაში.

რასაკვირველია, საერთო მუშაობა მათ არ აძლევს უფლებას ერთმანეთის საქმის ჩარევისას; სწავლების სიმძიმე აწევს უფროსს, აღზრდის კი-კომისარს, მაგრამ სწავლების და აღზრდის გეგმა და პროგრამა უნდა იქნას გამომუშავებული საერთო ძალ-ღონით. უფროსი და კომისარი უნდა ეხმარებოდენ ერთმანეთს ყოველი დღიურ მუშაობაში. ეს საჭიროა ასე, რადგან აღზრდის საქმე არ უნდა ისაზღვრებოდეს მარტო „კაზიონურ“ პოლიტ-საათებით, არამედ ის სისტემატიურად უნდა სწარმოებდეს მთელი სწავლების დროს განმავლობაში, რადგან „სწავლება მჭიდროდაა დაკავშირებული აღზრდასთან.“

4. მთავარი ყურადღება წითელ არმიელის თვით მოქმედების განვითარების საკითხს უნდა იყოს მიქცეული, რადგან, უნდა ახსოვდეთ, რომ წითელ ჯარის დღევანდელ რიცხვის გამო, მათ ჩვენ ვამზადებთ არა მარტო უბრალო მეომრებათ, არამედ პატარა უფროსებათ, რაზედაც ასე თუ ისე დამოკიდებულია თანამედროვე ომის გამარჯვება.

5. უფროსი და კომისარი ძიძები კი არ არიან, არამედ უფროსი ამხანაგები და მასწავლებლები, რომელთაც ევალებათ განავითარონ ერთმანეთისადმი ამხანაგური გრძნობა არა მარტო თავის ნაწილის წითელ არმიელებთა შორის, არამედ მთელს ჯარში, სადაც სხვა და სხვა ეროვნებათა ნაწილებიც შედიან, რომელნიც ძლიერი მუშურ-გლეხურ წითელ არმიასთან ერთად რგოლის მზგავსად გარს შამორტყმია საბჭოთა კავშირს. დაუშვებელია, რომ ორ ერთმანეთს გვერდით მოთავსებულ ყაზარმებში იყვნენ ერთმანეთთან არაფრით დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები. საბჭოთა კავშირის სიძლიერე გამოიხატება ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა ინტერესების მთლიანობაში, მათი კულტურულ და ეკონომიურ ურთიერთი თანამშრომლობაში, რასაც ავალებს მუშურ-გლეხურ წითელ არმიის ყველა ნაწილებს, განურჩევლად ეროვნებისა, შექმნან ერთმანეთ შორის მჭიდრო კავშირი და ურთ ერთს დაეხმარონ საერთო საქმეში.

6. „რაც მეტ ნაყოფიერ შედეგებს მოგვცემენ ტერიტორიალური ნაწილები, მით უფრო ადრე იქნება გადადგმული ნაბიჯები სამილიციო ჯარის შესაქმნელად“.

გამოყენებულ უნდა იქნას გამოცდილება ტერიტორიალურ ნაწილების ორგანიზაციის საქმეში, დიდის სიფრთხილით უნდა მიუახლოვდეთ მათი შექმნის საკითხს, უნდა აუხსნათ მშრომელ მასას მილიციონურ ჯარის სისტემაზე გადასვლის უპირატესობა და სარგებლობიანობა; ტერიტორიალურ ნაწილებში ისე უნდა მოეწყოს მუშაობა, რომ ყოველი წვეული უნდა გრძნობდეს თავს, როგორც მუშურ-გლეხურ წითელი არმიის წევრი, როგორც ნამდვილი წ. არმიელი, მიიყვანოს მილიციონურ ნაწილების წვეულის ცოდნა ძირითად ნაწილების შეთვისების დონემდე, — აი ძირითადი ამოცანები ნაყოფიერ შედეგების მისაღებად.

ყველაფერი ეს შეიძლება მხოლოდ წითელ არმიის მოსახლეობასთან დაახლოვებით, კავშირის გაბმით, მუშათა და გლეხთა შორის სამხედრო საქმეზე პროპაგანდის გაწევით; წითელი არმიელის, უფროსის და კომისრის შეგნებით, რომ ისინი დაჩაგრულთა დამცველნი არიან.

7. საბჭოთა რესპუბლიკებში მხოლოდ მშრომელთ აქვთ იარაღის ტარების უფლება და ყოველ მშრომელმა უნდა გაამართლოს თავის ძმების ნდობა, რომ ის ღირსეულად ატარებს და შეისწავლის მის ხმარებას ისე, როგორც ეს საჭიროა მთელი ქვეყნის მუშათა და გლეხთა გასანთავისუფლებლად.

აი ის წამები, რომელთაც ჩვენ გვინდა ხაზი გაუსვათ განსაკუთრებით უფროსების და კომისრების საყურადღებოდ, რომელთათვის „უბის წიგნი“ უნდა იყოს ძირითადი დებულებათ ყოველ დღიურ მუშაობაში, და ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ „უბის წიგნი“ ამ მოკლე ხანში ჩვენი ჯარისთვის შეიქნება საუნჯეთ.

სასურველია, რომ „უბის წიგნი“, რაც შეიძლება ჩქარა გადათარგმნილ იქნეს ქართულ სომხურ და თურქულ ენებზე.

პუგაჩოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ჩვენი არმიის რიგებისაკენ მშრომელი ახალგაზრდობა მოდის

1902 წელში დაბადებული ახალგაზრდობა იშვიათი მხიარულებით მოდის არმიაში. მოწყენილებას, დაღვრემილებას და ლოთობას ადგილი არა აქვს გასაწვევ პუნქტში.

ახალგაზრდობა ჯგუფ-ჯგუფათ, წითელი დროშებით და სიმღერა-მუსიკით მიეშურება წითელ არმიის რიგებისაკენ.

იშვიათად შეხვდებათ არა მშრომელი ელემენტის სახე, გაკვირვებული, გალსტუკში და მანჟეტებში გამოწყობილი რომელიც უშნოთ დაიარება მაზუთით გათხვრილ ხალათებიანებს შორის. მან იცის რომ გაგზავნიან მომავალში ზურგის უკანა დამხმარე ჯგუფებში.

ყველგან გამართულ კრებებზე, მიტინგებზე ახალწვეულებს გამოაქვთ რეზოლიუციები, სადაც ესალმებიან მუშურ-გლეხურ მთავრობას, კომპარტიას, წითელ არმიას და მის ბელადს ამხ. ტროცკს.

ისინი ფიცსა სდებენ იდგნენ ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე.

ასეთია ჩვენი არმიის რიგებისაკენ მიმავალი მშრომელი ახალგაზრდობა.

სალამი მათ!

გამარჯვება საბჭოთა ხელისუფლებას.

გაუმარჯოს წითელ არმიის სულის ჩამდგმელ საყვარელ ბელადს, ამხ. ტროცკს!

**მ—ლი.**

## აგიტპუნკტის მუშაობა ახალწვეულებში.

ყოველ დღე ქალ. ტფილისის სხვა და სხვა სამილიციო რაიონებიდან აუარება ახალგაზრდობა მოდის მიმღებ პუნქტებში. აქვე მათ ხვდებათ პოლიტ და კულტ მუშაკები, რომლებიც უმარტავენ გამოწვევის მიზეზს, უხსნიან წითელ არმიის ამოცანებს, წითელ არმიის უფლება მოვალეობას, ძველსა და ახალი ყაზარმის ცხოვრების პირობებს და მრავალ სხვას. იქვე მოწყობილია სამკითხველო, სადაც მოიპოვება გაზეთები, ჟურნალები, მრავალი წიგნაკები და სხვა. დადგმულია მაგიდა „შაშკები", სათამაშოთ.

დიდ დარბაზში იმართება მიტინგები, საუბრები. პოლიტიკური თამაში „აუქციონი", „ლატარეია".

გაზეთები მრავლად რიგდება ახალწვეულების შორის.

თვითეულ ახალგაზრდას გულზე აქვს ლორდ კერზონის ულტიმატუმის საპასუხო საჰაერო ფლოტის ნიშნები წარწერით „ულტიმატუმი".

ურიგდებათ აგრეთვე ახსნა განმარტებით საჰაერო ფლოტის იდეის გასავრცელებელი ღია წერილები, რომლებზედაც დახატულია დირიჟაბლი და ჰაეროპლანი.

დიდ დახმარებას უწევს ჩვენს აგიტპუნკტს კომკავშირთა 1 და მე 2 რაიკომები, საიდანაც ყოველ დღე ოთხი-ხუთი ამხანაგი ინიშნება ჩვენთან სამუშაოზე.

ისინი ენერგიულად აწარმოებენ ჯგუფურ საუბრებს, არიგებენ ფურცლებს, გაზეთებს.

ამას გარდა განზრახულია საღამოობით გაუშვათ კინო, თუ ამისათვის გვეყოლება საღამოობით საჭირო აუდიტორია. პუნქტი დიდი ამბით აცილებს სადგურზე სხვა და სხვა ნაწილებში გაწერილ ახალწვეულებს.

იმართება სადგურში მიტინგები, სადაც ახალწვეულებს გამოაქვთ სათანადო რეზოლიუციები. არავითარ უწესოებას ადგილი არ ჰქონია.

თვით მასსა იჩენს ზომიერებას. ასე მუშაობს აგიტპუნკტი.

ალ. **მარელაშვილი**

# პარტიული ცხოვრება.

## პოლიტ სკოლის კომუჯრედის მუშაობა.

პოლიტიკური სკოლის კომუჯრედს განსაკუთრებულ პირობებში უხდებოდა მუშაობა. კომუჯრედის მუშაობა სისტემატიურად არ მიმდინარეობდა წინა თვეებში, ეხლა კი ეს ნაკლი გამოსწორებულია.

კომუჯრედი წარსულ თვეებში განიცდიდა სიღარიბეს, კურსანტების ჯამაგირების მოწესრიგების შემდეგ კი მოიმატა საწევრო გადასახადმა და რამოდენიმე კურსანტების მიერ შემოწირულებამ კომუჯრედს სათანადო თანხა მოუპოვა. პრეზიდიუმი სცდილობდა ყველა კურსანტები ჩაება აქტიურ მუშაობაში.

პრეზიდიუმის მუშაობა მიმდინარეობდა ამნაირად: შემოღებული იყო კურსანტების მხრივ მორიგეობით მოხსენებების გაკეთება, როგორც კომუჯრედების მორიგ კრებებზე, ისე სკოლის საერთო კრებებზედაც. ასეთივე წესით არის მოწყობილი პარტწრის მეცადინეობა. ამ თვის განმავლობაში კომუჯრედის მორიგ კრება მოხდა სამჯერ. ირჩევოდა როგორც პოლიტიკური ისე ორგანიზაციული და აგიტაციური ხასიათის საკითხები. პრეზიდიუმის კრება მოხდა ოთხჯერ. სოციალური მდგომარეობის მიხედვით კომპარტიის წევრები არიან: ოთხი მუშა, რვა გლეხი, კომკავშირის წევრები, ექვსი მუშა და ორი გლეხი. სკოლის კომუჯრედში ირიცხება 54 კომუჯრედის წევრი. მოკლეთ ასეთია ჩვენი სკოლის კომუჯრედის თვის მუშაობა.

სამხკორი: **ლეჟავა.**

## ქართ. დივიზიის საბიბლიოთეკო გამოფენისთვის *)

საბიბლიოთეკო მუშაობის ფართო მაშტაბით წარმოება ქართულ წითელი ჯარის ნაწილებში, შედარებით ახალი საქმეა.

საბჭოთა ხელისუფლება უპირველეს მიზნათ წერა კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციას ეწეოდა და სხვა ზომებთან ერთად ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსებაც დაისახა ყველაზე მეტი ყურადღება ამ მხრივ ბუნებრივათ უნდა მიქცეულიყო წითელ-არმიელთა აღზრდა-განვითარებაზე, და ეს ასეც მოხდა.

დღეს ჩვენს წითელ ჯარში მთელი ყურადღების ცენტრი წითელი მხედრის განათლება-გათვითცნობიერებისაკენაა მიმართული. დღევანდელ ყაზარმაში ბიბლიოთეკა-სამკითხველო წინა რიგში „დგას—სამხედრო მეცნიერების შესწავლასთან ერთად და მთელი ენერგია მხოლოთ მისკენაა მიქცეული, რომ როგორმე წითელ-არმიელისგან შეიქნეს ნამდვილი შეგნებული მხედარი—მოქალაქე, რომელიც მზათ იქნება საჭიროების დროს იარაღით ხელში დადგეს რევოლიუციის საგუშაგოზე და თავისი შეგნებით, ძლიერი მკლავითა და ურყევი ნებით დაიცვას იმ კლასის ინტერესები, რომლის პირმშო შვილიც თითონაა და რისთვისაც იგი მოწოდებულია წითელი არმიის მჭიდრო რიგებში. ყველაზე მთავარი კი, ამ მიზნის მისაღწევათ — საგანმანათლებლო მუშაობა, რომლის ცენტრშიდაც დგას ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. არ შეიძლება ითქვას, რომ დღეს-დღეობით ჩვენი ბიბლიოთეკები სხვა და სხვა სამხედრო ნაწილებში სასურველ დონეზე იყოს მოწყობილი, ამის თქმა თავის მოტყუილება იქნება. პირიქით—ჯერ კიდევ ბევრი შრომა, მატერიალური დახმარება და ბიბლიოთეკარების თავგამოდებითი მუშაობაა საჭირო. მაგრამ ერთი მაინც ცხადია, სახელდობრ ის, რომ ბიბლიოთეკებს დიდ ყურადღებას აქცევს ხელისუფლება ყოველ მხრივ და სწორეთ ამიტომ უნდა დავუშვათ, რომ მალე შევძლებთ შეერთებული ძალით ავსწიოთ ჩვენი სამკითხველოებისა და წიგნთსაცავების დონე სასურველ სიმაღლემდე. აქ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი მუშაობა არ შემოიფარგლება მარტო ყაზარმის კედლებით, არა—როდესაც ჩვენგან წავა წითელი არმიელი სოფელში—იგი თუ კარგათ გაწვრთნილია საერთო განათლების სფეროში საუკეთესო აგიტატორი იქნება იქ და კულტურის ცხოველ სხივების შემტანი. ჩვენ ნაკლთა შორის ერთი უმთავრესი ნაკლია—ქართული წიგნების დიდი სიმცირე მაშინ, როდესაც რუსული წიგნებით ვერ სარგებლობს 95 პრ.

ქართულ დივიზიის საბიბლიოთეკო მუშაობის გამოფენა, ან უკეთ ვთქვათ მისი მოქმედების ერთ-ერთი მხარის დემონსტრაცია—იწყება 6 ივნისს წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში.

იგი რამოდენიმე დღე გასტანს და არ უნდა დარჩეს ტფილისში მყოფი არც ერთი წითელ-არმიელი, უფ. და პოლიტშემადგენლობა, რომ არ დაათვალიეროს გამოფენა. იქ, შესაძლებელ ფარგლებში, ახსნილ-განმარტებული იქნება წარმოდგენილი მასალები და მათი გაცნობა ბიბლიოთეკის ყოველ მოყვარულს საქმრო სარგებლობას მოუტანს და მასთან ერთად შესაფერ წარმოდგენას მიიღებს ჩვენი საბიბლიოთეკო მუშაობის შესახებ.

ადგილობრივ გამოფენის გათავების შემდეგ ყველა წარმოდგენილი ექსპონატი (მასალა) გაგზავნილი იქნება მოსკოვს ს. ს. რ. საკავშირო გამოფენაზე.

გრ. **შავგულიძე.**

*) ეს წერილი ტეხნიკ. მიზეზების გამო დაგვიანებით იბეჭდება.

**რედ.**

## წითელ არმიელისათვის საჭირო ცნობები სავეტერინარო დარგიდან.*)

### „ციმბირის წყლულით" მკვდარ სხეულის ზოგადი ანატომიური (აგებულობა) ცვლილებანი.

გლეხს უეცრად მოუკვდა ხარი ან ძროხა; ამ დროს იგი ანგარიშს არ უწევს იმას—თუ რა მიზეზით მოუკვდა ცხოველი; იგი ცდილობს —ტყავი ქილაინად გამოიყენოს და ხორცი, ზოგი თავის ოჯახს მოახმაროს, ზოგიც მეზობლებს მიჰყიდოს, ანდა ბაზრად გამოიტანოს გასასყიდათ; ამნაირ განაწილებით იგი ანაწილებს იმ სატკივარსაც, რითაც იყო ეს მკვდარი საქონელი სიცოცხლით ავად. ამისათვის შენი ვალია, წითელ-არმიელო, იცოდე და ეს შენი ცოდნა შენს მეზობლებსაც გაუზიარო, მათ გასაფრთხილებლად—თუ რა ცვლილები სდევს, „ციმბირის წყლულისაგან" მამკვდარ ცხოველის სხეულს. ყველამ კარგათ ვიცით, რომ, როცა სალ საქონელს დავკლავთ, ან როცა სალი საქონელი სიბერისაგან (სტარჩესკი მარაზმ) კვდება, ცხოველის სხეული ამ დროს გაბერილი არ არის; „ციმბირის წყლულისაგან" მკვდარი კი—საშინლად იბერება, ამასთან ერთად ცხვირის ნესტოებიდან სისხლი გადმოსდის და უკანა ტანი გადმობრუნებული აქვს. თუ ეს სურათი ოდესმე —სადმე თვალწინ წარმოგიდგა, ცხოველის პატრონს მაშინვე აუკრძალე მისი გატყავება და ხორცით სარგებლობა, დაამარხვინე იგი სოფლის მოშორებით $2^1/_2$ არშინ სიღრმეზე ამოთხრილ საფლავში. თუ ამ შემთხვევაში არ დაგიჯერა და თავის ჯიუტობა გაიტანა, ნიჰყე მას და გზა და გზა თვალები გაუხილე იმ ცვლილებებზე მითითებით, რომლებსაც შენ დაინახამ ამ ლეშში იმის გარდა, რაც შენ აგიწერე ზევით. გააფრთხილე კი პატრონი, რომ გატყავების დროს ხელი არ გაიჭრას ან არ გაიკაწროს.

„ციმბირის წყლულით" მკვდარი საქონლის სისხლი შავი—შავი კუპრივით ფერისაა და ამასთან ერთად, მიწაზე დასხმული, არ დედდება; სალი საქონლის სისხლი კი მკრთალი ვარდის ფერია და დედდება კიდეც. ტყავის შიგნითა მხარეს სისხლის ძარღვები მთლად გავსებულია შავი სისხლით, რითაც ტყავს, მთელ მის მოცულობაზე, ლილის ფერი ედება; გარდა ამისა—მასზე სჩანან სისხლით გაჟღენთილი მკაფიოდ მოფარგლული ადგილები (ეკხიმოზი); თვით ხორცი (კუნთები) სიმკვრივის მაგიერ—მჩვარივით რბილია და გახრწნილი, ეს ცვლილება უფრო აშკარად ეტყობა ცხოველის გულს, რადგანაც უმთავრესად და მარტო მას უხდება სისხლის ბურთების, როგორც მოწინავე რაზმების, შევსება-გამაგრება „ბაცილებთან" ბრძოლის დროს, და ამ მუშაობით დაღლილ-ძლეული, ცხოველის სიკვდილის შემდეგ, მისი სიმკვრივე—მჩვარივით სირბილეზე იცვლება. ელენთა თავის მოცულობაში საშინლად გადიდებულია—5-ჯერ გადიდებულია სალ ელენთასთან შედარებით; მისი ნაპირები, სიწვეტის მაგიერ, რგვლად—გაერთიანებულია; ელენთის „ჰულპა" (შიგნითი ნივთიერება) შავ-წითლად არის შეღებილი და სითხესავით გადმოდის. ღვიძლი და თირკმელები გადიდებულნი და გავსებულნი არიან სისხლით.

ნაწლევების არხის ცვლილება დამყარებულია იმაზე—თუ როგორი ყალიბის „ციმბირის წყლულით" მოკვდა ცხოველი; თუ ცხოველ მოკვდა გარეგანი ყალიბის „წყლულით", მაშინ ნაწლევების არხი არავითარ ცვლილებას არ განიცდის; იმ შემთხვევაში—თუ ცხოველი მოკვდა „ციმბირის წყლულით", რომელიც შეესია სხეულს კუჭ-ნაწლავის არხით, მაშინ ეს უკანასკნელი დიდს ცვლილებას განიცდის. ამ შემთხვევაში ავადმყოფობის პროცესი მიმდინარეობს მხოლოდ წვრილ ნაწლავულობაში და კერძოთ თორმეტ-ბეჭდიან ნაწლავში. ამ ნაწლავების ლორწოიანი გარსები გასიებულია, ჭრელად (პიატნისტო) შეღებილი, მოფენილია სისხლით გამოხეთქილ (კროვოიზლიანია) ადგილებით; პეიერის ქამრებზე (წვრილ ნაწლევებშია) ემჩნევა წყლულები; ლორწოიან გარსებზე პოულობენ „ბაცილების" აუარებელ რიცხვს; ის ადგილი, სადაც იგინი შეკრებილნი არიან, წყლულებით შემოსილია და მთლად დამპალია.

**ბასრი.**

(გაგრძელება შემდეგ)

*) იხ. „წ. ა." № 517.

# ახალი ამბები.

— **ქალაქის განსატვირთავათ.** ქ. აღმასკომის დადგენილებით ქალაქის განტვირთვის განსახორციელებლათ შესდგა კომისია შინაგან საქმეთა, იუსტიციის კომისარიატების და საქ. პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელთაგან.

— **მანგლისში წყალსადენის აღსადგენათ.** ქალ. თფილისის აღმასკომმა მანგლისში წყალსადენის აღსადგენათ გადასდო 5.000 მანეთი.

— **ნოტარიუსების გადაყვანა.** ქ. აღმასკომმა ამხ. დოლიძეს დაავალა გამოარკვიოს ნოტარიუსების აღმასკომის განკარგულებაში გადმოყვანის საკითხი.

— **ტრამვაი ღამეც ივლის.** 4 ივნისიდან უკვე დაიწყო ქალაქის ტრამვაის მოძრაობა ღამის 2 საათამდე.

— **პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში.** განათლ. კომისარიატის პროფ.-

# მოწოდება.

საქართველოს წითელი ჯარის ცენტრალურ კლუბში შესდგა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა ჩაატაროს ქართული 1 ლი ლეგიონის სამხედრო მუსიკის არსებობის სამი წლის თავის აღსანიშნავი დიდი საღამო.

საღამოს შესასვლელი ბილეთები ფაფ-ფასიანი, რომლის მთელი შემოსავალი გადაიდება ამავე მუსიკის ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და გასაძლიერებლად.

კომისია მოუწოდებს წითელი ლაშქრის უფ-პოლიტშემადგენლობასა და წითელ არმიელთ, ნუ დაიშურავენ თავიანთ წვლილს ამ საღამოს შემოსავლიანად ჩატარებისათვის.

ბილეთები გადმოგზავნილი იქნება ნაწილებში.

საღამოს მომწყობ კომისიის თავმჯდ. კობიძე.

წევრები: გობრონიძე.
ბერაძე.
ქურამბედიანი.
წვენიევი.

ტეხნ. მთ. მმართველობის დადგენილებით თფილ. პოლიტეხნ. ინსტიტუტთან სოც. ეკონომიური ფაკულტეტი დაიხურა. მის მაგიერ მოეწყო სამ წლიანი ეკონომიური ფაკულტეტი.

— **გლეხკომების თათბირი.** საქ. გლეხთა კომიტეტის თათბირი, 6 ივნისის მაგიერ იხსნება დღეს, 7 ივნისს ზუბალაშვილის სახელობის საინვალიდო სახლში.

— **სოც. უზრუნველყოფის საქმე. ა. კ. ცენტრ.** აღმასკომმა მიიღო დადგენილების გეგმა ამიერ კავკასიაში სოციალურ უზრუნველყოფის საქმის გაუმჯობესების შესახებ.

— **სენაკის ქუჩების განათება** სენაკის აღმასკომმა შეიძინა 30 ცალი ქუჩის გასანათებელი ფარანი და დადგა ისინი ქუჩებში.

## ხელოვნება.

— **ერთობის მუშათა კლუბი** ერთობის უბნის მუშათა კლუბის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლათ ქალ. აღმასკომმა გადასდო 300 მანეთი.

— **მარულა.** კვირას 8 ივნისს, დიდუბის იპოდრომზე გაიმართება საინტერესო ჯირითობა.

— **უპატრონო ბავშთა სასარგებლოთ.** უპატრონო ბავშთა დამხმარე საზოგადოების სასარგებლოთ, კვირას 8 ივნისს, ახალ კლუბში გაიმართება გრანდიოზული საღამო სეირნობა.

— **ფიზკულტურის საღამო.** კვირას, რუსთაველის თეატრში გაიმართება პოლიტ-ინსტიტუტის მუშფაკის წრის ძალებით ფიზკულტურის საღამო. ვარჯიშობის დროს დაუკრავს სამხ. ორკესტრი.

# სასოფლო მეურნეობა.

### ზეთის ხილი.

(გაგრძელება)

გვალვიან წლებში ზეთის ხილის ბაღს მორწყვა უნდა. მორწყვა უნდა დავიწყოთ გაზაფხულზე ყვავილობის დროს. როცა ზეთის ხილის ხე ხანში შედის ის უკლებს მსხმოვიარობას. ამ დროს ის უნდა გავაახალგაზრდაოთ. ამისათვის მას უნდა დაუმოკლოთ მთავარი ტოტები ნახევრამდის ან მესამედით. კურკებიდან ამოსული ზეთის ხილი მსხმოვიარობას მეათე წელიწადს იწყებს. მცენარის ზრდასთან ერთად მსხმოვიარობა მატულობს. უდიდეს ნაყოფიერებას მცენარე ორმოციდან ორმოც და ათ წლამდე აღწევს. ამ ხნიდან თითქმის ას წლამდე ზეთის ხილმა ერთნაირი მსხმოვიარობა იცის.

საშუალოთ 20 წლის მცენარე იძამს 4—5 ფუთ ნაყოფს. ზეთის ხილის ნაყოფს ხმარობენ ორი დანიშნულებისათვის: დასამარილებლათ და ზეთის გამოსახდელათ, დანიშნულების მიხედვით იცვლება კრეფის დროც.

დასამარილებელი ნაყოფი უნდა მოიკრიფოს სრულ დამწიფებამდი სექტემბერ—ოქტომბერში. ზეთის გამოსახდელათ კი ნაყოფის კრეფა უნდა დავიწყოთ, როცა ნაყოფს ფერი ეცვლება და ხის შერყევით ადვილათ სცვივა. ეს დრო არის ნოემბერი. ზეთის ხილი ხელით უნდა მოვკრიფოთ მშრალ ამინდში. თავის დროზე მოკრეფა უნდა ზეთის გამოსახდელ ხილს. თუ ის ადრე მოვკრიფეთ ის მოგვცემს მწარე, ნაკლები ღირსების ზეთს. ძლიერ მწიფე ან გადამწიფებული ნაყოფი კი იძლევა სურნელობას მოკლებულ მდარე ზეთს. კარგათ და სათანადოთ მწიფე ნაყოფი შეიცავს 50—70 პროცენტ ზეთს. ახალ მოკრეფილ ნედლი ზეთის ხილს აქვს მწარე—მწკლარტე გემო და საჭმელათ არ ვარგა. ზეთის ხილი რომ საჭმელათ ივარგოს საჭიროებს განსაკუთრებულ დამუშავებას. ის უნდა მოვკრიფოთ დამწიფებამდე და 24 საათის განმავლობაში ვამყოფოთ 6 პროცენტიან სოდის ანაცრის ხსნარში. აქედან ის უნდა გადავიტანოთ სუფთა წყალში. წყალი ყოველ 4—5 დღეში უნდა გამოუცვალოთ. როცა ამ რიგათ ნაცრის სუნი სრულებით გამოეცლება, მას ვყრით მარილ წყლიან ბოჭკებში. სურნელოვნების მისაცემათ კარგია თუ მიუმატებთ კამის ყვავილებს ან დარიჩინს.

დამარილებული ზეთის ხილი ასე უნდა მომზადდეს. მწიფე ნაყოფს ვყრით კასრში და ზედ ვასხამთ სუფთა წყალს. წყალს ხანგანოშვებით უცვლით. ბოლოს ზედ ვასხამთ მარილ—წყალს. როცა ზეთის ხილი საკმაოთ გაჟღენთება, მარილ—წყალს გადავღვრით, ზეთის ხილს კი საბოლოოთ ბოჭკებში ვყრით. აქედან სჩანს თუ რა მრავალ გვარათ შეიძლება ზეთის ხილის მოხმარა. ის ძლიერ ხელსაყრელი და სასარგებლო მცენარეა მის მოშენებას ჩვენში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. განსაკუთრებით კი კახეთში, სადაც ადგილობრივი ბუნებრივი პირობები ხელს უწყობენ ამ მცენარის განვითარებას.

მეურნე.

## იარაღისა და ტელეფონის დაცვის საშუალებანი.

ზოგიერთი მომწამლავი ნივთიერება და განსაკუთრებით ისეთები, რომელნიც იხმარება ნაღმტყორცნი ქიმიურ ყუმბარების სროლისას და აირიანი ბალონების იერიშის დროს, მავნეთ მოქმედებენ ყოველგვარ სასროლ იარაღზედ და ტელეფონზედ. თუ ამ შემთხვევაში კარგად არ მოუვლიან და ყურადღებას არ მიაქცევენ მომწამლავ ნივთიერებათა ამ გვარ თვისებას, იარაღი ფუჭდება. მომწამლავი ნივთიერების ხანგრძლივი მოქმედებას და იარაღის ცუდ მოვლას შეუძლია გამოიწვიოს იარაღის ან სრული მოშლა-უვარგისობა ან მისი სამსახურის ხანგრძლივობის შემოკლება.

იარაღის შესანახათ საჭიროა შაშხანა თოფის, ტყვიამფრქვევის, ავტომატის და ზარბაზნების შეუღებავი დაგაუსყვადებული (ნევორონენი) ნაწილები ჩვეულებრივ წასასმით კარგად წაისვას. მოწინააღმდეგის ქიმიურ თავდასხმის დროს, დრო და დრო საჭიროა თოფის და ტყვიამფრქვევის გასროლა, მათ ვარგისობის შესამოწმებლად, რაც იარაღის შიგნითა ნაწილში ჟანგის გაჩენის შესაძლებლობას ამცირებს. მაშინვე, უშუალოდ ქიმიურ თავდასხმის შემდეგ, იარაღის ლითონის ნაწილი უნდა მშრალად გაიწმინდოს რაც შეიძლება ჩქარა და ხელახლა წაისვას. ეს რამდენჯერმე უნდა გაიმეორონ იქამდისინ, სანამ ჟანგის აღმოცენებას არ შესწყვეტენ. პირველ ხელსაყრელ პირობებში იარაღი უნდა დაიშალოს სრულიათ და ცოტაოდენ სოდა შერეულ ცხელ წყალში გარეცხონ.

ხელის გრანატების ყველა საფრთხილო ჭინჭილაკები და მანქანები კარგად უნდა იყოს წასმული; წინააღმდეგ შემთხვევაში მომწამლავი ნივთიერება ამ ალაგებს ამოსჭამს. ქიმიური მოქმედების შემდეგ გრანატის ეს ნაწილები უნდა გაიწმინდოს, ხელახლა წაისვას და შეამოწმონ მათი მოქმედება. (უცხო ნიმუშის გრანატის შემოწმება დაუშვებელია).

ხარდალის აირით შეშხაპუნებულ იარაღს განსაკუთრებული მოვლა სჭირია.

ამ შემთხვევაში საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ჭუჭყისაგან გაიწმინდოს და გასაწმენდათ დანიშნულ ზედაპირს დაეყაროს ქლორის კირის წვრილი შრე; თუ ისეთი ალაგია, რომ შიგ ძნელად მოხვდება ქლორის კირი, მაშინ კირს გაურევენ წყალს, 15—20 წამის შემდეგ ქლორის კირი იარაღიდან უნდა გადაირეცხოს და გაივლოს წყალში. იარაღის ამ გვარ გაწმენდის დროს უეჭველად უნდა გამწმენდელს ნიღაბი ჰქონდეს ჩამოცმული და ხელთათმანები ხელებზედ.

ტელეფონის აპარატებზედაც მავნეთ შეუძლია იმოქმედოს მომწამლავმა ნივთიერებამ: ლითონის ნაწილები ჟანგდება და ტელეფონი ცუდათ მუშაობს. ამის ასაცილებლად ტელეფონები მშრალ ალაგას უნდა ჰქონდეთ მოთავსებული და ქიმიურ თავდასხმის დროს ტელეფონებს უნდა წაეფაროს მაზარები, საბნები და სხვა. მომწამლავ ნივთიერების ატმოსფერაში მყოფ აპარატების მავთულები, ქიმიურ თავდასხმის შემდეგ, უნდა მოიხსნას და დანით გაიფხიკოს, შემდეგ სველი მაუდით სწმენდავენ და შემდეგ მშრალით. მავთული ლენტით კარგად უნდა იყოს შემოხვეული. ქიმიურ თავდასხმის შემდეგ უნდა შემოწმდეს მთელი ხაზი და თუ არა მუშაობს, გაფუჭებული ადგილები უნდა შეიცვალოს ახალით.

გ. ბ—შვილი.

# მეცნიერება და ტექნიკა

### ხელოვნურად დამზადებული ყალბი ძვირფასეულობა.

საზოგადოება მიჩვეულია ყოველგვარ ხელოვნურად, ყალბად დამზადებულ საგნებს ჩვეულებრივი თვალით უყუროს. მათ დაკარგული აქვთ ხალხის თვალში ყოველგვარი ღირებულება.

მიუხედავად ამისა, ტეხნიკის ისტორია ხშირად გვასწავლის და ხშირი არის შემთხვევა, როდესაც ყალბად დამზადებული საგნები თავისი ღირსებით უფრო მაღლად დგანან, ვიდრე ბუნებრივი. კერძოთ სხვა და სხვა ფერების, საღებავების, ფაბრიკაცია ამის საუკეთესო დამამტკიცებელია.

ამ უკანასკნელ 25—30 წლის განმავლობაში ხელოვნური ორგანიული საღებავები მეტის მეტად გავრცელდენ და დიდი კონკურენცია გაუწიეს ბუნებრივ საღებავებს. ამნაირად ჩვენს დროში ხელოვნური საფერავები უფრო კარგი ღირსების და ძვირ საფერავებათ არიან მიჩნეული; ასევე შეიძლება ითქვას კარგი სუნის ნივთიერებათა შესახებ. ამას გარდა, არსებობენ ყალბად დამზადებული ძვირფასი ქვები, რომლებიც უფრო ძვირად ფასობენ, ვიდრე ბუნებრივი ქვები, რადგან ხელოვნურად დამზადებული, ხშირად უფრო კარგი ღირსებისანი გამოდიან.

მაგალითად, ამ რამოდენიმე ხნის წინად ერთმა შვეიცარიელ ქიმიკოსმა შესძლო წმინდა კრისტალურ ალუმინისაგან ძვირფასი ქვის—იაგუნდის დამზადება. ეს ქვა გაცილებით უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ჩვეულებრივი ბუნებრივი იაგუნდი. სხვა და სხვა ძვირფას, ხელოვნურად დამზადებულ ქვებს შორის თვისი ღირსებით და სიძვირით საუკეთესოდ ითვლება მარგალიტი. ძვირფასი ქვების ხელოვნურად დამზადება ჯერ კიდევ 130 წლის წინეთ შესძლო ერთმა ვენეციელმა. ეს ქვები იშვიათი ღირსებისანი არიან, გაცილებით უკეთესი ბუნებრივ ქვებთან შედარებით.

მაგრამ, ვენეციელმა თავისი საიდუმლოება თან ჩაიტანა საფლავში. მას არავისთვის არ გაუმჟღავნებია, თუ როგორ შეიძლებოდა მათი დამზადება.

ვენეციელისგან ხელოვნურად დამზადებული იაგუნდები მეტად მაგარი და ძლიერი ბრწყინვალებისანი არიან.

**რამდენს იწონის დედა-მიწა.**

ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალში მოთავსებული ერთი ერთ მეცნიერის წერილი, რომელსაც მოჰყავს ეინშტეინის ახალი თეორიის მიხედვით მთელი მსოფლიოს სიმძიმის შესახებ ცნობა. მისი ანგარიშით დასრულებული მსოფლიოს რადიუსი უდრის 150 მილიონ სინათლის წელს. (სინათლის წელი არის ისეთი წელიწადი, როდესაც ერთი წლის განმავლობაში სინათლისაგან განვლილი მანძილი, როდესაც ყოველ წამში ის გადის 300,000 ვერსს). მსოფლიოს დიამეტრს 10 ათასჯერ დაედება ცის თაღზე გადაჭიმული ე. წ. რძის გზა.

რაც შეეხება მსოფლიოს სიმძიმეს გრამებში ის გამოიხატება 54 ნულიანი რიცხვით. შედარებისათვის შეიძლება ითქვას, რომ ეინშტეინის მსოფლიოს წონა ისე შეეფარდებს დედა-მიწისას, როგორც დედა-მიწის შეფარდება დაახლოებით ერთ ფუთს.

შეიხ.


ყოველდღიურ სამხედრო გაზეთ

„კრასნაია ზვეზდა“-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. თვით) **მიეცემათ უფასო დამატება: მხატვრული კრებული—ალბომი „დიადი საფლავთან“** მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი.

**ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებში.**

**გაზეთის ფასი:**

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.


ნ, დ. ს. ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.